საქართველოს მთავრობის
განკარგულება

N 2594 2018 წლის 31 დეკემბერი ქ. თბილისი

„შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის“ მიერ განსახორციელებელი ღონისძიებების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 28 მაისის №1191 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად, „შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის“ მიერ განსახორციელებელი ღონისძიებების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 28 მაისის №1191 განკარგულებაში შეტანილ იქნეს ცვლილება და:

ა) პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 10^1 მუხლის 3^1 პუნქტის შესაბამისად, სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიების შეზღუდულ ვადებში შეუფერხებლად ჩატარების მიზნით, მიეცეს უფლება შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიას“ (შემდგომში – კომპანია), ამავე კანონის 15^1 მუხლის მე-3 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ ვადაში უზრუნველყოს:

ა) ყაზბეგის მუნიციპალიტეტის სოფელ გუდაურში, 99 300 m^3 მოცულობის წყლის ხელოვნური რეზერვუარის წყლით შევსებისათვის საჭირო ღონისძიებების განხორციელების მიზნით, საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მოსამზადებლად მომსახურებისა და შესაბამისი სამშენებლო სამუშაოების შესყიდვა ერთი სახელმწიფო შესყიდვის ფარგლებში;

ბ) ყაზბეგის მუნიციპალიტეტის სოფელ ფანშეტში შპს „მერფი ყაზბეგის“ გარე წყალმომარაგების მოწყობის მიზნით, სამშენებლო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვა.“;

ბ) მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. მიეცეს უფლება კომპანიას, „საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროსათვის თანხის გამოყოფის თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 26 აგვისტოს №1118 განკარგულების საფუძველზე გამოყოფილი თანხის დარჩენილი ნაწილი – 1 950 000 (ერთი მილიონ ცხრაას ორმოცდაათი ათასი) ლარი მიმართოს ამ განკარგულების პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული, ყაზბეგის მუნიციპალიტეტის სოფელ გუდაურში 99 300 m^3 მოცულობის წყლის ხელოვნური რეზერვუარის წყლით შევსებისათვის საჭირო ღონისძიებების განსახორციელებლად.“;

გ) მე-2 პუნქტის შემდგომ დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-3 და მე-4 პუნქტები:

„3. ამ განკარგულების პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ღონისძიებების დაფინანსების მიზნით, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრომ (შემდგომში – სამინისტრო) უზრუნველყოს:

ა) მისთვის გათვალისწინებული ასიგნებებიდან 813 000 (რვაას ცამეტი ათასი) ლარის გამოყოფა და კომპანიისთვის გადარიცხვა;

ბ) კომპანიის კაპიტალის გაზრდა გადარიცხული თანხის ოდენობით.

4. კომპანიამ უზრუნველყოს სამინისტროსთვის ინფორმაციის მიწოდება ამ განკარგულების მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე გადარიცხული თანხის ხარჯვის თაობაზე ან სამინისტროს მოთხოვნის შესაბამისად.“.

პრემიერ-მინისტრი **მამუკა ბახტაძე**